საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი 27 აგვისტო 2014 წელი

განკარგულება №45

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ 11.12.2007 წლის პრეზიდენტის N525 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-5 და მე-6 მუხლის თანახმად:

1. დამტკიცდეს ოზურგეთის ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობა:

1) საკრებულოს წევრი - პაატა კიღურაძე
2) საკრებულოს წევრი - მერაბ ბერიძე
3) საკრებულოს წევრი - რესან გაბაიძე
4) მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი - მალხაზ გორგოშიძე
5) ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი-

2. კომისიის ახალი შემადგენლობა დამტკიცდეს მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით:

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის N14) მისი ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში;

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით დარჩია**